

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიში

ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციების შესაბამისად მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა განცხადებების მიღება და მოქალაქეთა მომსახურება. მ/წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია სულ 7339 კორესპონდენცია, აქედან უმეტესი ნაწილი მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, უმწეოთა თავშესაფარს, მშენებლობა - ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას, ბინის პრივატიზებას.

მ/წლის 1 აგვისტოდან მიღებული კორესპონდენციიდან უმეტესად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილებია, რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებას, მიწის ფართის იდენტიფიკაციის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხებოდა..

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. ასევე, ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებას.

მზადდება ტაბელების და შვებულების გრაფიკი, ასევე სამივლინებო მოწმობები. (სულ 334 სამივლინებო მოწმობაა გაცემული).

მ/წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებით გამგეობაში დასაქმებულია 6 თანამშრომელი.

რაც შეეხება საარქივო დოკუმენტების მიღება-დამუშავება-შენახვას უზრუნველყოფენ არქივის თანამშრომლები. არქივში დაცული მასალები 2000 წლიდან დღემდე საკრებულოს და გამგეობის კუთვნილი დოკუმენტებია.

წლის ბოლოსთვის მიმდინარეობს საკრებულოსთან არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2016 წლის აგვისტომდე წარმოებული დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების პროცესი.

მ/წელს იუსტიციის სამინისტროდან შემოსული წერილის მოთხოვნის საფუძველზე სოფლის წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციულ სამსახურს ჩაბარდა საკომლო წიგნები და გადაეცა საქართველოს ეროვნულ არქივს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის , საინფორმაციო, ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას.

ხორციელდება კომპიუტერული ქსელების ტექნიკური გამართვა და აწყობა, კომპიუტერებზე ოპერაციული სისტემების დაყენება და საოფისე, თუ სხვა საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფა.

დამონტაჟდა ვიდეო კონტროლის კამერები და თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა.

მიმდინარე წელს ადმინისტრაციულმა სამსახურმა დაიწყო ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა (ehRMS).

სოციალური ქსელის მონიტორინგი, მუნიციპალიტეტის Facebook გვედრის ადმინისტრირების უზრუნველყოფა, პასუხების მომზადება გვედრის მომხმარებელთან კითხვებზე;

ადმინისტრაციული სამსახური აწარმოებს მიმოწერას საქართველოს ლატვიის რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სხვადასხვა სფეროში შესაძლო თანამშრომლობის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ მუშაობა დაწყებულია საქართველოს მთავრობის

დადგენილების „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის „სათათბირო ორგანოს–საბჭოს შექმნის შესახებ“ 2016 წლის 15 იანვრის N14 ბრძანების თანახმად ვმუშაობთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე.

ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიიღო გომბორის, უჯარმის, კოჭბაანის თემებმა, სოფლებმა: ანთოკი, მარიამჯვარი, ზემო ყანდაურა და სათაფლე. (სულ 17 სოფელი).

მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით ჩატარდა სოფლის კრებები მაღალმთიან დასახლებებში. მოსახლეობასთან შეხვედრებმა ხელი შეუწყო მთის კანონის პოპულარიზაციას, გავაცანით სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია და არსებული საშეღავათო პირობები. კანონი ემსახურება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

იურიდიული სამსახური

საანგარიშო წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში შესულია 2 623 კორესპონდენცია, რომელთაც მოყვა სათანადო რეაგირება.

იურიდიული სამსახური მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა გამგებლის, გამგეობის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას; უწევდა კონსულტაციებს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში, იურიდიული სამსახური უწყვეტად უზრუნველყოფს გამგეობაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული

გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

იურიდიული სამსახური იცავდა მუნიციპალიტეტის კანონიერ ინტერესებს სასამართლოში, სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

კერძოდ: 2016 წელს სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობამ შეადგინა 19, რომელთაგან პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებაშია შვიდი საქმე, სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია სამი საქმე, ხოლო უზენაესი სასამართლოს წარმოებაშია ორი საქმე. შვიდ საქმეზე სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2016 წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შესულია 42 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 39 განცხადება, ხოლო 3 განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 44-ე მუხლების თანახმად არ დაკმაყოფილდა; იურიდიული სამსახური უზრუნველყოფდა საანგარიშო წლის განმავლობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოუსლი მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების განხილვასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებას;

გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, განთავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების, შვებულებაში გასვლის და მივლინების სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სულ: 713 (შვიდას ცამეტი) ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის შესაბამისად, საკრებულოს წარედგინა სულ 17 მიმართვა, მათ შორის: შესაბამისი დადგენილების მიღების მიზნით ნორმატიული აქტის ინიცირებული პროექტები, ნორმატიულ აქტებში ცვლილების, დამატების, ძალადაკარგულად გამოცხადების და ცალკეული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე. ასევე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის თაობაზე თანხმობის მიღების შესახებ.

იურიდიული სამსახურის ორი თანამშრომელი აქტიურადაა ჩართული კომისიების მუშაობაში. კერძოდ, იურიდიულ მხარეს კურირებენ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ“ კომისიაში, ასევე „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების პირის სტატუსი მინიჭება, შეწყვეტა, შეჩერების აღდგენის კომისიასა“ და „საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში.“

ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2016 წლის დეკემბრის თვემდე მიღებულია ექსპლუატაციაშია 41 ობიექტი. შეთანხმების 6 აქტია შედგენილი პროექტში ცვლილების შეტანაზე. ხოლო 16 გაფრთხილების აქტია გამოცემული.

ადგილობრივი დასუფთავების მოსაკრებლის თანხამ 2016 წლის ოქტომბრის ჩათვლით შეადგინა 33346,86 ლარი. ამ ეტაპზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ირიცხება ზემოაღნიშნული მოსაკრებლის გადამხდელი 241 საწარმოო დაწესებულება.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ მუდმივად ხდება ობიექტების შემოწმება და მონიტორინგი, რაზედაც დგება ობიექტის შემოწმების აქტი. ამ ეტაპზე დაწერილია 206 შემოწმების აქტი. აღნიშნული მონიტორინგი ხორციელდება როგორც რეგიონულ და სოფლის პროგრამებზე, ასევე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სამშენებლო საქმეებზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური დიდ ყურადღებას უთმობს მშენებლობის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების დროულ აღმოფხვრას. ამისათვის სამსახურის სპეციალისტები მშენებელს სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას მიუთითებენ ხარვეზზე და მიმართავენ მოთხოვნით ოპტიმალურ ვადაში გამოასწორონ დაშვებული შეცდომა.

როგორც მოგახსენეთ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მუდმივად ხდება რეგიონული პროექტებისა და სოფლის პროგრამების შემოწმება/ მონიტორინგი. იწერება სავსე აქტები და მონიტორინგი ეწევა პრობლემის აღმოფხვრის პროცესს.

ზედამხედველობის სამსახური ყოველ 2 დღეში ერთხელ ახორციელებს გარეგანათების მონიტორინგს და ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ოპერატიულად ატყობინებს არსებული დაზიანებების შესახებ. გეგმიურის გარდა, ასევე ხშირად ხორციელდება მონიტორინგი იმის დასადგენად თუ რამდენად სწრაფად აღმოფხვრა არსებული პრობლემა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ.

მსგავსი ზედამხედველობა ხორციელდება დასუფთავების მიმართულებითაც. ასევე ყოველ 2 დღეში ერთხელ ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ამოწმებენ სიტუაციას ნაგვის ურნებთან და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. ყოველი აღმოჩენილი დარღვევის შემდეგ რეაგირებისათვის მიმართავენ დასუფთავების სამსახურს, შ.პ.ს „პროგრესი 2011“-ს.

მოგეხსენებათ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ჯერ არ გააჩნია ბაზრის შენობა, ამიტომ ზედამხედველობის სამსახური გარემოვაჭრეთა მიმართ ლოიალურია, მიუხედავად ამისა, ვიცავთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და საფეხმავლო ბილიკებს გადატვირთვისაგან, რათა პრობლემა არ შეექმნათ ჩვენს მოქალაქეებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებს.

აუდიტის სამსახური

აუდიტის სამსახური მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სპეციფიკიდან გამომდინარე და ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე ჩასატარებელი შემოწმებები გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი მოიცავდა წმინდა ფინანსური კუთხით შესამოწმებელ ობიექტებს, მეორე ნაწილი - მონიტორინგს. ეს უკანასკნელი კი ძირითადად მიმართული იყო წინა წლებში აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ ობიექტებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის საკითხებზე, რათა ადგილი არ ჰქონოდა შემოწმების პროცესში

გამოვლენილი ნაკლოვანებების ანალოგებს. გარდა ამისა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად სამუშაო გეგმაში პერიოდულად გადამოწმების მიზნით ჩადებული იქნა სოციალურ ქსელებში, პრესაში თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით გამოთქმული შენიშვნების, კრიტიკული წერილების შესწავლა-გაანალიზება.

შესამოწმებელი ობიექტების ნუსხაში ჩადებული და გამოკვეთილი იქნა ის პრიორიტეტი, როგორცაა ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება, რაზედაც პერიოდულად მიმდინარეობდა გადამოწმებები.

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა შემდეგი სახის შემოწმებები:

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების მიერ დისციპლინის და კანონიერების დაცვის კონტროლი, სამსახურებრივ გადაცდომათა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა შემოწმების მიზნით;
2. სოციალურ ქსელებში, პრესაში თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით გამოთქმული შენიშვნების, კრიტიკული წერილების შესწავლა-გაანალიზება;
3. ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერება, პირველ მეორე კვარტალში;
4. სოფლის პროგრამების და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მუსაობის სისრულე;
5. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვებაზე გამოყოფილი თანხების ათვისება-კანონიერება;
6. სკოლისგარეშე დაწესებულებების გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების დროს გამოყოფილი თანხების ხარჯვის საკითხები;
7. ა.ი.პ N 105 სასპორტო სკოლის მიერ გაწეული მუშაობა;
8. ადმინისტრაციულ სამსახურში საჩივარ-განცხადებებზე, წერილებზე დროული რეაგირების და მიღებულ გადაწყვეტილებებზე და გაცემულ პასუხებზე კანონიერების შესწავლა;
9. საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის მიერ მოქალაქეთა თუ სხვა უწყებებისგან მიყენებული მატერიალური ზარალის ამოღებისათვის გატარებული ღონისძიებებთან დაკავშირებით;
10. შ.პ.ს „ გარეჯის მაცნე“-ს მიერ გაწეული საქმიანობა;
11. ბიუჯეტის ხარჯვის 6 თვის შედეგებით;
12. ბიუჯეტის ხარჯვის 9 თვის შედეგებით;

ამჟამად მიმდინარეობს მიმდინარე წლის შედეგების გაანალიზება.

გარდა ამისა, მოქალაქეთა საჩივარ-განცხადებებსა თუ გამგებლის მიერ ცალკეული დავალებების შესაბამისად ჩატარდა ხუთი სხვადასხვა სახის შემოწმება, მათ შორის. საშემუ მერქნის, ამონიუმის გვარჯილის და უსახლკაროთათვის ბინების გაცემის კანონიერებასთან დაკავშირებით.

განათლების კულტურის ძეგლთა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

სამსახურის ბიუჯეტი 2016 წელს შეადგენდა 87 600 ლარს. მათ შორის: კულტურის კუთხით - 22 600 ლ. ახალგაზრდული ღონისძიებების - 30 000 ლ. სპორტული ღონისძიებების - 35 000 ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არის 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2 ალტერნატიული ჯგუფი. მიმდინარე წელს დაფუძნდა სოფელ დუზაგრამის ქართულენოვანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. იგი მუშაობას შეუდგება 2017 წლის იანვრიდან. სწავლება და საქმის წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სუბსიდია გამოიყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2016 წელს სკოლამდელების გაერთიანება დაფინანსებულია 1 354 ბავშვზე; სუფსიდია 1 720 500 ლარი: აქედან კვებისთვის 519 936 ლარი (დღიური ნორმა 2.00 ლარი.), ხელფასისათვის 1 047 744 ლარი, ოფისისათვის 147 839 ლარი, მივლინება 4 400 ლარი, მომსახურებისთვის 1380 ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდიის ფარგლებში საბავშვო ბაღებში შეიძინეს სხვადასხვა სახის ინვენტარი, კერძოდ: საბავშვო მაგიდები და სკამები, მაცივრები, პიანინო, ახლად გარემონტებული ბაღებისათვის შეიძინეს სხვადასხვა სახის ავეჯი.

მიმდინარე წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან კაპიტალური რემონტი ჩატარდა და მოეწყო ცენტრალური გათბობა საგარეჯოს და ბადიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში; ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმდინარეობს მანავის #2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კაპიტალური რემონტი.

ყველა გაზიფიცირებულ ბაღში მოეწყო დამატებითი წერტილები და დამონტაჟდა გაზის გამათბობლები.

ახალგაზრდული ღონისძიებების ბიუჯეტი შეადგენდა 30 000 ლარს. ტრანსპორტი 10 000, გახარჯულია 4 266 ლარი. გეგმიური ღონისძიებები: 20 000. I ტენდერი - 7 539,83თ, II ტენდერი - 5 388,15თ, ნატვრის ხის პრემია - 600 ლარი, შშმ პირთა ფესტივალი ბორჯომში - 1700 ლარი, ეტალონის დაფინანსება - 2 960 ლარი, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებული წიგნები - 781,20თ.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ადამიანი გაჭირვებაში“ (ინგ. “People in Need”) ამ ორგანიზაციასთან ერთად დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ღონისძიება. ერთ-ერთი ასეთი პროექტია ახალგაზრდების ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების პროექტი, აღნიშნული პროექტი ხორციელდება წყალტუბოს, თერჯოლის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში, პროექტის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა, როგორცაა, ახალგაზრდების სოციალური ანგარიშვალდებულების კვლევა, ტრენინგები, ახალგაზრდული ბანაკი, რომლის ფარგლებშიც დაიწერა მუნიციპალური ახალგაზრდული

სამოქმედო გეგმა კულტურის სამსახურის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მონაწილეობით.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილ აქტივობებში დაიხარჯა 70000 ლარი, პროექტი სრულად დაფინანსდა მსოფლიო ბანკისგან. სამოქმედო გეგმის მიხედვით, 12 სოფელში (გიორგიწმინდა, გომბორი, კოჭბანი, უჯარმა, ხაშმი, იორმულანლო, შიბლიანი, კაკაბეთი, მზისგული, მანავი, ვერხვიანი, უდაბნო) შეიქმნა ახალგაზრდული კლუბები აღჭურვილი შესაბამისი საოფისე ინვენტარით და კომპიუტერული ტექნიკით.

ქ. საგარეჯოსა და 19 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, პატარძეული, ნინოწმინდა, გომბორი, უჯარმა, პატარა ჩაილური, თოხლიაური, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმულანლო, ლამბალო, თულარი, დუზაგრამა, ყანდაურა) გადაეცა სპორტული ინვენტარი.

ქ. საგარეჯოსა და 12 სოფელს (გიორგიწმინდა, ხაშმი, გომბორი, უჯარმა, კოჭბანი, მანავი, კაკაბეთი, შიბლიანი, ვერხვიანი, მზისგული, იორმულანლო, უდაბნო) გადაეცა მუსიკალური ინვენტარი.

ახალგაზრდული ღონისძიებები - წლის დასაწყისში დაგეგმილი იყო 23 ღონისძიება. განხორციელებულია 20 და 3 ღონისძიება ჩატარდება წლის ბოლომდე.

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ მ/წლის 11 თვის მანძილზე მომზადა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში შეტანილი იქნა 7 ცვლილება. აღნიშნული ცვლილებების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7 500 000 ლარიდან გაიზარდა 11 090 556 ათას ლარამდე, გადასახდელები 7 500 000 ათასი ლარიდან 13 225,335 ათას ლარამდე, მათ

შორის არაფინანსური აქტივების ზრდმ შედგენდა 6 069 922 ათას ლარი. წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთიდან (2 226,630 ათასი ლარი) გადასახდელებში განაწილდა 2 134 779 ლარი.

2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1 დეკემბრისთვის შესრულდა 103,1%-თ. წლიური გეგმა 10 090 556 ლარი, ფაქტიური 10 405 100,3 ლარი.

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ მომზადებულია და გამოცხადებულია 184 ტენდერი, მომზადებულია და დადებულია 305 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, 27 ხელშეკრულება სტიქიური უბედურების შედეგად დაზარეული სახლის მაცხოვრებელთა საცხოვრებელი ფართების იჯარის შესახებ, 2 სუბსიდიის ხელშეკრულება, ასევე 11 ხელშეკრულება, რომელიც არ ექვემდებარება რეგისტრაციას.

მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში სამსახურის უფროსის მიერ მიღებულია და განაწილებულია შესყიდვების განყოფილებაზე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებაზე, საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილებაზე 21 149 განცხადება, წერილი, ბრძანება და სხვა კორესპონდენცია.

* ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების მიერ მიღებულია 4 195 განცხადება, კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერად დახმარებაზე შემოსულია 1

219 განცხადება, გაცემულია 121 900 ლარი, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის გაცემულია 5400 ლარი (გაცემულია 27 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა მკურნალობა/რეაბილიტაციაზე შემოვიდა 290 განცხადება და გაცემულია საგარანტიო წერილი 85 819 ლარის, ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობის დაფინანსების მოთხოვნით შემოვიდა 69 განცხადება და გაცემულია საგარანტიო წერილი 70 095 ლარის, სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფის მოთხოვნით შემოვიდა 577 განცხადება, გაცემულია საგარანტიო წერილი 84 111 ლარის, უპატრონო და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დაკრძალვის

ხარჯი გაცემულია 7 800 ლარი (გაცემულია 26 ოჯახზე), 95 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისთვის საჩუქარი დაფინანსდა 1100 ლარით, დიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრასპორტირების ხარჯი -16 500 ლარი.

- * დედამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 2 650 ლარით .
- * ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 2 200 ლარით
- * მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1 400 ლარით
- * შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 10350 ლარით
- * ვეტერანთა დახმარებისა და დაკრძალვის ხარჯები დაფინანსდა 3 500 ლარი
- * სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსდა 35 512 ლარით
- * უფასო სასადილოები დაფინანსდა 154 500 ლარით.

ინფრასტრუქტურის სამსახური

2016 წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 11 პროექტი, რომელთა ღირებულებამა ტენდერის ჩატარების და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შეადგინა 2 631 660 ლარი, რაც შარშანდელთან შედარებით 296 387 ლარით მეტი არის.

2016 რეგიონალურ პროექტებით

- მოხდა ორი საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია ქ.საგარეჯოში და სოფელ ბადიაურში,
- ქ. საგარეჯოში მოეწყო ასფალტის საფარი დოდაშვილის, ქეთევან წამებულის, წერეთლის, ქურდიანის და ჯანგულაშვილის ქუჩებზე, ასფალტის
- საფარი მოეწყო ასევე სოფელ შიბლიანში და დუზაგრამა - თულარის დამაკავშირებელ გზაზე,
- სოფ:პატარა ჩაილურში მოეწყო სატუმბი რეზერვუარი და ცენტრალური სასმელი წყლის რეზერვუარი,
- სოფ.ხაშმში მოხდა სათავე-ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

2016 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში,

გამოყოფილ იქნა 1 082 163 ლარი, მოგესხნებათ 2015 ლის მიწურულს ჩატარებულ სოფლის კრებებზე მოსახლეობის მიერ გამოვლინდა პრიორიტეტები რომელი პრიორიტეტებზეც მოხდა ხარჯთაღრიცხვების შესყიდვა, ხოლო 2016 წლის განმავლობაში მათი განხორციელება, ამ დროისთვის პროექტების 90 % დასრულებულია..

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვაში და სამუშაოებში გახარჯულია 1 783 276 ლარი რომელი თანხიდანაც წყლის სისტემების რეაბილიტაციაში და მოვლა პატრონობაში გაიხარჯა 508 175 ლარი დასუფთავების ღონისძიებებში 509 600 ლარი, გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციაში 97 553 ლარი სანიაღვრე არხების აღდგენა 9 163.44 ლარი, სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია 20 612 ლარი, კეთილმოწყობაში 353 432 ლარი, სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაციაში 43 980 ლარი, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაში და რეაბილიტაციაში 219 376 ლარი, მოეწყო კოსტავას ქუჩაზე ჭაბურღილი 25 368,82 ლარი შეკეთდა შალვა გზირიშვილის და არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტდარბაზები- 20 062 ლარი, ჩატარდა იორმულანლოს იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები 48 988, N 13, 15 ლარი გადაიხურა კახეთის გზატკეცილზე მდებარე კორპუსები- 39 719,98 , ლ ხოლო სტიქიით დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლების გადახურვაზე გაიხარჯა-65 834 . . - 11 796,93 , .ლ სოფ უჯარმის ბაღის სახურავის გადახურვა ქ. საგარეჯოში მიმდინარეობს ბაზრის მშენებლობა 196 266, ლარი.

2016 წლის განმავლობაში სამსახურს დაეწერა დაახლოებით 2000 - მდე განცხადება.

სამსახურის მიერ მოხდა 48 , მშენებლობის ნებართვის გაცემა რომელი ნებართვებიდანაც მუნიციპალიტეტმა მოსაკრებლის სახით მიიღო 40776 .ლარი

რაც შეეხება მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს მოხდა, სახელმწიფოსგან მხრიდან როგორც ნაკვეთების ასევე შენობა ნაგებობების გადმოცემის მოთხოვნა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება. სამსახური ასევე ამზადებს საპრივატიზიოდ განკუთვნილი ქონების ნუსხას. ასევე სამსახური მუშაობს მომავალი წლის ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვაზე, უკვე შესყიდულია 4 178 921 ლარის პროექტები. ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი 20 16 წლის რთველის მიმდინარეობასა და სახნავი ბარათების მოსახლეობისათვის მიწვდაში.